

გადარჩენის თემა უილიამ ფოლკნერის რომანში „დროშები მტვერში“  
(„სარტორისი“) და მისი ქართული ანალოგი

ჟანა ხელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე უცხო ენათა ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ჩხეიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ქანა ხელაშვილი

25.06.2015.

## აბსტრაქტი

წინამდებარესამაგისტრონაშრომისთემასწარმოადგენსგადარჩენისსაკითხისგანხილვაცნობილიამერიკელიმწერლისუილიამფოლკნერისრომანში „დროშებიმტვერში“ („სარტორისი“). ნაწარმოებშიაღწერილიაამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთში პირველიმსოფლიოომისშემდგომწლებშიგანვითარებულიმოვლენები.

ასახულიაომისსამინელებამოვლილიადამიანებისმძიმესულიერიმდგომარეობა.

ფოლკნერიმოგვითხრობსამერიკისსამხრეთ ნაწილში მცხოვრებ მდიდარიოჯახისდრამატულისტორიას.

რომანშიდაპირისპირებულიასამხრეთულიგვარისწარსულიდიდებადათანადროულობა, რაც სარტორისებისშთამომავალთამორალურიდაცემისადადაკნინებისშედეგადწარმოიქმნა. დეგრადირებულსარტორისთაშთამომავალთადარშესწევოსაკუთარიგენისადაგვარისგადარჩენისუნარი. სწორედამიტომისინიგადაშენების საფრთხისწინაშედგანან. რომანში აღწერილი ამბავი ტრაგიკულია და გამოსავალიარჩანს. მიუხედავადამისა, ფოლკნერულტრაგიკულსარშეიძლებაეწოდოსსრული უიმედობა, რადგან ახალი სიცოცხლის მოვლინებით მაინც რჩება გადარჩენის იმედი.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი თემით დაინტერესება შეინიშნება ქართულ მწერლობაშიც. წინამდებარე ნაშრომში განხილულია გადარჩენის პრობლემა ოთარ ჩხეიძის რომანში „თეთრი დათვი“. ნაწარმოებში მოქმედება საქართველოში მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების სამოქალაქო ომის დროს ვითარდება. რომანში აღწერილია საქართველოს მდგომარეობა, რომელიც თეთრი დათვის სათარეშოდ ქცეულა. ოთარ ჩხეიძე შეუფერავად გვიჩვენებს საქვეყნო ასპარეზზე გამოსულ ყოველგვარ ზნეობრივ ღირებულებებს მოკლებულ არაკომპეტენტურ „მამულიშვილებს“ და მათ ფონზე გვიხატავს ბაადურ რიკოთელის ოჯახის პრობლემას. აქაც რიკოთელთა ძირძველი გვარი გადარჩენის საფრთხის წინაშე დგას. ტრაგიზმის მიუხედავად, ნაწარმოების ბოლოს „თეთრ დათვშიც“ მემკვიდრის დაბადებით ჩნდება გადარჩენის იმედი.

ძირითადი საძიებო სიტყვები:სარტორისი, ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთი გადარჩენა, ომი, იმედი.

### **Abstract**

The paper deals with the study of the survival theme in the novel “Flags in the dust“ (“Sartoris“) by famous american writer William Faulkner. The following events of the post World War I in South region of the United States of America are described in the novel. The miserable condition of humans that was caused from the horrors of the war is reflected in “Sartoris“. Faulkner narrates us the dramatic story of the wealthy family in South America.

The past glory of Southern family is opposed with the contemporaneity in the novel. It was caused by the moral decline of the Sartoris family. Degrading descendants aren't able to survive their genes and family. That is why they face the threat of servival. The story which is described in the novel is tragic and there is no way out of the situation. Nevertheless, the foulknerian tragic can not be called the complete hopelessness because by the born of descendent of theSartoris family, servival hope still remains.

It should be noted that the interest for the similar issue has been remarked in Georgian literature. The following paper also discusses about the problem of survival in the novel “White Bear“ by Otar Chkheidze. The action in the novel occursin Georgia after the civil warin thenineties of the twentieth century. The condition of Georgia that became the raid place of the “white bear“ is described in the novel. Otar Chkheidze openly shows the incompetent “patriots“ of the country who don't have any moral values and at the same time the author shows the family problem of Baadur Rikoteli. In the novel, the old family of the Rikoteli is under the risk of survival. Despite the tragedy, at the end of the novel the hope of servival still appears which was caused by the birth of Rikoteli family descendant.

Key Words: Sartoris, South region of the United States of America,survival, war, hope.

## მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის თემატიკით დაინტერესებისა და თემის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო-აკადემიურ ხელმძღვანელს - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ანგლისტიკის მიმართულების სრულ პროფესორს, ბატონ პაატა ჩხეიძეს.

სადიპლომო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევის პროცესში ბატონი პაატა აქტიურად იყო ჩართული, მაძლევდა კომპეტენტურ რჩევებს და მეხმარებოდა საჭირო მასალების სწორად შერჩევასა და სამეცნიერო მეთოდებით დამუშავებაში. იგი ყოველთვის მზად იყო, ეპასუხა ჩემს კითხვებზე და მოეცა საჭირო მიმართულება. მისი კვალიფიციური რჩევები მეხმარებოდა ნაშრომის სწორი მიმართულებით მომზადებაში.

მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა, მეთანამშრომლა ბატონ პაატა ჩხეიძესთან, რომელიც გამოირჩევა მაღალკვალიფიციურობითა და უდიდესი პროფესიონალიზმით. მადლობას ვუხდით თანამშრომლობისა და გაწეული დახმარებისთვის. ვთვლი, რომ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში მიღებული გამოცდილება საუკეთესო პრაქტიკაა ჩემი, როგორც ანგლისტიკის მიმართულების მკვლევარის პროფესიული ზრდის ამაღლებისა და განვითარების გზაზე.